ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №19-19

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 15 აპრილი, 2019 წელი.

ერთი მხრივ, შპს „ჯიარ ტრანზიტი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჩირაძის სახით და მეორე მხრივ, შპს “ულტრა“ (შემდგომში „მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი კარბელაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, ,,შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“/“საქონელი“/“შესყიდვის ობიექტი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს უწყვეტი ელექტრომომარაგების წყაროსთვის რვა ერთეული აკუმულატორის (ENOT NP 9.0-12 Battery 12V 9Ah) სახელმწიფო შესყიდვა (CPV 31430000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და დღგ-ს ჩათვლით შეადგენს- 304 (სამას ოთხი) ლარს.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. მუხლით განსაზღვრული საქონლის ერთი ერთეულის ღირებულება განისაზღვრება 38 (ოცდათვრამეტი) ლარით.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

4.1. „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ საქონლის მიწოდება ხელშეკრულებაში მითითებულ ფასებში.

4.2. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მიმწოდებელს“' მიწოდებული საქონლის სრული ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 და მე-9 მუხლით დადგენილი პირობებით და ვადაში.

5. გარანტიები

5.1. „მიმწოდებელი“ გასცემს გარანტიას საქონელზე არანეკლებ ერთი თვის ვადით.

5.2. თუ საგარანტიო პერიოდში საქონელი აღმოჩნდება დეფექტის მქონე, „შემსყიდველი“ ვალდებულია აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს მიმწოდებელს, „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთ) სამუშაო დღეში განიხილოს (დააკმაყოფილოს ან განაცხადოს მოტივირებული უარი) „შემსყიდველის“ შეტყობინება და გამოასწოროს დეფექტი.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

6.1. „მიმწოდებელი“ საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.2. საქონლის მიწოდების ვადაში არ ჩაითვლება დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ის შეჩერებულია შემსყიდველის მიზეზით.

6.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი მიმწოდებლის ოფისი.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
7.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.
7.3. საქონლის მიღებას აწარმოებს შპს „ჯიარ ტრანზიტის“ თანამშრომელი დავით იამანიძე .

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად;
8.2 კონტროლს განახორციელებს - შპს „ჯიარ ტრანზიტის“ თანამშრომელი ნინო ძოწენიძე.
8.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისიწინებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.
11.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.
11.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.
11.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 15 აპრილს და მოქმედებს 2019 წლის 25 მაისამდე.
15.2 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღე.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.
16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა ,,მიმწოდებელს", ხოლო ერთი - ,,შემსყიდველს".
17.2 მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

,,მიმწოდებელი":
შპს „ულტრა"
ს/კ: 206258182
ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას 4
სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE41TB7399736020100003

,,შემსყიდველი"
შპს „ჯიარ ტრანზიტი"
ს/კ 402020022
მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15
ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE68TB7764636070100001

მიმწოდებელი:

LLC Ultra

Digitally signed by LLC Ultra
Date: 2019.04.15 18:28:15 +04'00'

შემსყიდველი:

Digitally signed by LLC GR Transit
Date: 2019.04.16 09:54:37 +04'00'